საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

ჩვენ, საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები, შეშფოთებით ვაცხადებთ, რომ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები აღრმავებენ ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოშლის პოლიტიკას.

სრულიად მიუღებელია საქართველოს პროკურატურის მიერ, რამდენიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიმართ განხორციელებული მოქმედება, რაც ანგარიშების დაყადაღებისა და საქმიანობის პარალიზების მცდელობაში გამოიხატება.

დაუჯერებელია სამართლებრივი და პოლიტიკური შინაარსი, რაც ამ მოქმედებას თან სდევს - საბოტაჟი, საქართველოს ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობის ფინანსური მობილიზება, უცხოური ორგანიზაციის მტრულ საქმიანობაში დახმარება.

ამგვარმა მიდგომამ საბჭოთა ეპოქაში დაგვაბრუნა. სამწუხაროდ, მსგავსი ქმედებები აზიანებს საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ასევე მისი თითოეული მოქალაქის ფუნდამენტურ ინტერესებს, თავისუფლებას, განვითარებას, სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. ის დამაზიანებელია არა მარტო ქვეყნის შიდა, არამედ საერთაშორისო თვალთახედვითაც - აღრმავებს ქვეყნის იზოლაციას, რაც დამღუპველია უაღრესად რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში.

ამასთანავე, პროკურატურის შუამდგომლობით მიღებული ყადაღის გადაწყვეტილება, რომელიც არ არის გამჭვირვალე და სამართლებრივად დასაბუთებული, წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების მიზანმიმართულ დევნას.

გადაწყვეტილების მიმღებებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ რა შედეგები მოჰყვება მათ ნაბიჯებს - მაგალითად, უვიზო რეჟიმისა თუ სხვა მონაპოვარის დაკარგვა და გაიაზრონ შესაბამისი პასუხისმგებლობა, რისი აღებაც მოუწევთ, მათ შორის ისტორიის წინაშეც.

ამასთანავე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ უსამართლო პროცესში სოლიდარულნი ვართ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელ ჩვენს კოლეგებთან. იმედს გამოვთქვამთ, რომ ისინი კვლავ დაუბრუნდებიან თავიანთ საქმიანობას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც თითოეული მოქალაქის, ასევე სახელმწიფოს განვითარებისთვის.

მოვითხოვთ:

1. მოხდეს ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიშებზე ყადაღის მოხსნა და მათი საქმიანობის აღდგენა;

2. ბოლო დროს მიღებული დამაზიანებელი კანონების გაუქმება, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოებრივ განვითარებას, თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების არსებობასა და ქვეყნის ევროპულ ინტეგრაციას, მათ შორის ევროკავშირში გაწევრების პერსპექტივას.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

1. ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო JA Georgia
2. ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
3. სამცხე–ჯავახეთის რეგიონული ასოიაციაცია "ტოლერანტი"
4. ა(ა)იპ საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ალიანსი
5. ხელოვნების ცენტრი
6. Populus Rei "პოპულუს რეი" ლანა ღვინჯილია
7. საქრთველოს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
8. ბიოლოგიურ მეურნაობათა ასოცოაცია "ელკანა"
9. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა / დედამიწის მეგობრები-საქართველო
10. ასოციაცია ,,,მერკური"
11. სამოქალაქო საბჭო თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხებში
12. სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრი
13. ,,სამანი"
14. ქალთა ასოციაცია "თანხმობა"
15. კავკასიური ინსტიტუტი
16. ლიბერალური აკადემია
17. "ციხის საერთაშორისო რეფორმა"
18. ფონდი “სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი”
19. საერთო-სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო
20. ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაცია “ახლებური ხედვა”